

საპროტესტო გამართვა

№10 (649)
ოთხშაბათი
23 მარტი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.




ირაკლი ღარიბაშვილი: „ქვეყანაში შენარჩუნებულია მშვიდობა, სტაბილურობა და ეს ასე გაგრძელდება. მიწა ყველას მოგიწოდოთ სიმშვიდისკენ და კონსოლიდაციისკენ“

ვანტანო სარჩილაძე: ჯერ საქართველოს დრო არ დამდგარა, მაგრამ ეს დროს აუცილებლად მოვა, ოღონდ იმ დრომდე, როგორც, მოხსლება უნდა მივალნიოთ



რა სინდისით ვთხოვთ ოკუპირებულ და ალყაში მოქცეულ ქვეყანას ისეთ ომში ჩაებას, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაშლით და დანგრევით დამთავრდება?

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გაემსხაღდეს საბანგებო მდგომარეობა, რომ აღიკვეთოს იმ ნაძირლების მოლაღობური და ანთისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კატანტროფისკენ უბიძგებენ



ირაკლი ხვაჩავაძე: საქართველოს ავსულთა ლაშქარი შემოესია, როგორც ქვეყნისთვის თავდადებული ქართველების ერთსულმონება და შეუპოვრობა უნდა დაამარცხოს

ნანა კაკაბაძე: ნაცები ორგანიზაციები არიან და რუსეთსაც ერთგულად ემსახურებიან და დასავლეთსაც



„სამი“ საადაშვილის ერთი პროფანია - მოლაღობა!

რუსეთ-უკრაინის ომის „ბერძენის სამკუთხედი“

ვირთხები რომლებმაც ქართული კინო გაემოღრღნეს და გაემოხრეს



იმ ადამიანებით, რომლებმაც კინოსტერი ფულის საჭრად საამქროდ აქციეს, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს

„ნაირონიკების“ დესანტი, სახელად „ნაცმოძრაობა“

რა უნიანსარმეცხველს უკრაინას თხუთმეტი წლის წინათ, რაც სამოხარო სიზუსტით ახდა

„დამხმარა შენი მებოზრის დამარცხებაში, მერა შენ რომ დამამარცხო!“

ვინ გაემიღრღნა ყველაზე მეტად მორა მსოფლიო ომში

საქართველოს ავსულთა ლაშქარი შემოასია, როელიც ქვეყნისთვის თავდადებული ქართველების ერთსულოვნება და შეუპოვრობა უნდა დააბრუნოს



„საერთო გაზეთის“ სტუმარია მწერალი ირაკლი მამაძე:

— ბატონო ირაკლი, როგორია მწერლის თვალთ დანახული თანამედროვე საქართველო?

— როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა იტყოდა: „ლაფიან სინამდვილესა, ია-ვარდითა ფერავენო“. სამწუხაროდ, ჩვენი სინამდვილეც, ლაფიანია. ბოლო 30 წელიწადია ბარბაბს გზით დავდივართ. ეს სინამდვილე იმ ხის ნაყოფია, რომელიც შევარდნადის, კიტოვანის, სივამს ხუნტამ დარგო, რამაც ხენეში ნაყოფი გამოიღო. მაშინ დარგულმა ხენეშმა ხემ იხარა და ახლა, ყველანი მის ნაყოფს მივირთმევთ. ამ რთულ პერიოდში ეროვნული მწერლობა სამშობლოს მაცოცხლებელი წყაროც იყო და დამცველიც. თუმცა, უპირველესად, ქვეყნის მაცოცხლებელი წყაროს თვალი, ყოველთვის, ოჯახი იყო. ქართველ კაცს არასდროს უთქვამს: მამამიწა, მამაენა, მამაბობი, არამედ დედამიწა, დედაენა, დედაბობი. დედა ოჯახის ბურჯიც იყო და საქართველოს დედაბობიც, ამბობდა მისი წინაპრები. ახლა რაც ხდება, ყოველად გაუგონარია. გვეუბნებიან, რომ არც დედა არსებობს და არც მამა, არსებობს მხოლოდ ნომერ პირველი და ნომერ მეორე მშობელი. ეს რას ჰგავს?! დედობის მადლი ხომ ამოუხსნელი ფენომენია. სოლომონ ბრძენი ამბობდა: „დედაკაცი გონიერი გვირგვინი არს ქმრისაო“. ამიტომ, ლიბერალისტების — ამ ავსულთა შეტევა დედობისა და ოჯახის მადლზე ხდება. მათ სურთ ეს ფენომენი მიწასთან გაასწორონ, საერთოდ გააქრონ. ადრე, როცა მამაკაცები ომში მიდიოდნენ, ოჯახს დედაბობი ასულდგმულელებდა. ქვეყნის გამდიდრებაც, ასე ხდებოდა, რამაც საქართველოს უკვდავება კოდიფიცირებული. ქართული მწერლობა, ასევე, სამშობლო ამ უზარმაზარ ფენომენშია განიჭებული. ესქილეს საფლავზე ასეთი წარწერაა: „აქ განისვენებს ესქილე, ძე ვეფორიონისა და სიამაყე ჯვლისა. თუ როგორი იყო მისი სივარჯილე, ამაზე დეე გაიამბონ მართონმა და გრძელთმიანმა მიდიელებმა, რომლებმაც ეს სივარჯილე კარგად გაიცნეს“. ის, რომ ესქილე სახელოვანი დრამატურგი იყო,

ამაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. ანუ, სამშობლო ყველა ერისთვის, ყოველთვის, საფიცარი იყო, განსაკუთრებით კი, ქართველისთვის.

— დღეს კი ეს სიტყვა მივიწყებულია. უსამშობლო ავსულები, როგორც თქვენ მათ უწოდებთ, იმ ბურჯს ებრძვიან, რასაც — მამაული, ენა, სარწმუნოება ჰქვია.

— ასეთ დროს მნიშვნელოვანია საქართველოს სარწმუნოებით „შეიარაღებული“ ხელისუფლება ჰყავდეს. აქამდე, ერთიანი ურჩხულს — რუსეთის იმპერიას ვებრძოდით. ახლა, აღარ ვიცით რამდენთავიანი ურჩხული უტევს ქვეყანას. ხომ გაგიგონიათ, ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლისო. საიდან გაჩნდა ამდენი მტერი, ჭკუისდამრიგებელი, გაყიდული არასამთავრობოები! ცალკე, ამერიკის ელჩი გვარიგებს ჭკუას, ცალკე ვეროკაემირის ელჩი გვმოძღვრავს, აქეთ ვეროსაბჭოს პრეზიდენტი საშემოდგომის გვაყოფებს. პრემიერმა განაცხადა: ჩვენ, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთო. ეს მნიშვნელოვანია. აქვე, გეტყვით: როცა პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია ავირჩიეთ, განა, ვინმე წარმოიდგენდა, რომ ამ ავსულებს (პირობითად, ვუწოდებ ქვეყნის მტრებს, დამაცველებს), რომელთაც ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრეს, მრავალი სასიქლოლო მამულშვილის შვილი თუ შვილიშვილი შეუერთდებოდა? აღარაფერს ვამბობ იმ მახინჯ გამოვლინებებზე, როგორც ირინა სარიშვილი და მისთანანი იყვნენ. მსგავსნი, ახლაც მრავლად არიან. მაგალითად, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, რომელიც ქართველი ხალხის დმცველი ნამდვილად არ გახლავთ. ამიტომ, ქართული ეკლესიის, სულიერების ლაშქარი, ნამდვილი პატრიოტები, საქართველოს გადასარჩენად უნდა გაერთიანდნენ. ახლა, წარმოდგენილი რაღაცები ხდება, რაც საქართველოს სინამდვილეს არ ახსოვს — თუ სამშობლო გიყვარს, გუუბნებიან: პრო-რუსი, პუტინის მომხრე ხარო. სამწუხაროდ, ავის მქმნელი, უკეთური ჟამი დადგა — ღვთის, ქვეყნის მოძულე ადამიანი სამშობლოს მოყვარულს, მამულისათვის გულანთებულს, გაუგონარი ეპითეტებით ამკობს. შორს რომ არ წავიდეთ, ეს კაცთმოძულენი

ზვიად გამსახურდიას ჩაუშესკუს ეძახდნენ. შობის მარხვაში, ეროვნულ მთავრობას ზარბაზნები დაუშინეს. მძიმე მარხვის ჟამი, იქ მცხოვრებლებმა (მეც იქვე ვცხოვრობ) წივილ-კივილისა და კვნესა-გოდების მოსმენაში გაეატარეთ. შემდგომ, შევარდნადის ხუნტამ ძალაუფლება ხელში აიღო. ეს ხალხი, მერე, ეკლესიაში სანთლებით ხელში, ვითომ დიდი მორწმუნენი, ლოცულობდნენ. ეს პარადოქსული, სასაცილო სექტაკლები უნდა დამთავრდეს. დიან, სამწუხაროდ, სხვა ჟამი ჩამოვდა, ქვეყნის ბედი გაუკუღმართებული გზით მიდის. ქართველი კაცი, ჩვენი თაობა სამშობლოს, მამულის სიყვარულს, თავისუფლების წყურვილს ოცნებაში ხატავდა. ახლა, შხამ-საწამლავით მოწამლული, ფულზე გაყიდული არასამთავრობოები გესლავენ ადამიანის სულს, გულს. სად იზრდებიან ეს ადამიანები? მოლაღატე ელენე ხომტარაის დედა დავინახე და შევძრწუნდი. მამამისი ხომ ცნობილი მოლა

ლატე იყო — შევარდნადის ხუნტის აქტიური წევრი, რომელიც ხალხს ზვიად გამსახურდიას დამხობისკენ მოუწოდებდა. ამ მოლაღატეთა ნაშთები, ახლა, ფარნავაზის, ქუჯის, აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას სამშობლოს, ტროცკისტულ-კომუნისტურ თუ რაღაც გაუკუღმართებულ ახალი დეოლოგიას ახვევენ თავს. ისინი, ლაფში სვრიან ჩვენს უდიდეს განძს, რასაც ჩვენი სამშობლო, სარწმუნოება ჰქვია.

— წელან ახსენეთ: ურჩხული მრავალთავიანი გახდაო. ჩვენი „მეგობარი-პარტნიორი“ ურჩხულები ცდილობენ საქართველო ომში ჩართონ. სამწუხაროდ, ამ პროვოკაციაში ბევრი ხელოვანი, მწერალია ჩართული, რომლებიც პრემიერის გადადგომასაც კი

გებლად რომ დაგვინიშნეს მწვანე შუქი უცხოელმა „მეგობრებმა“ აუნთეს. წარმოიდგენიათ, ამხელა ისტორიის მქონე ხალხს, აღმოსავლური რენესანსის სულიწამდგმელთ და აკვისდამრწვევ ერს, უცხოელთა მიერ ერის „სულიერ მამებად“ დანიშნული „მოდერნები“ გვმოდერნავენ. დანტემდე ერთი საუკუნით ადრე, ქართველმა ერმა სრულიად კაცობრიობას „ვეფხისტყაოსანი“ უძღვნა. აი, ამ ერს არიგებენ ჭკუას უწარსულო, ამორალური სამყაროს წარმომადგენლები. სახალხო დამცველი ამერიკაში დარბის და იქედან ჩამოსული სინარულით გვამცნობს: ამდენი და ამდენი მილიონით დაგვაფინანსესო. მერე, დიაცთა ავსულეთი მართლმადიდებლურ საქართველოს უტევს.

— თანამედროვე ეპოქაში ადამიანის ახალი ტიპის პერსონიფიცირება წამოიწია წინა პლანზე, რასაც ხშირად ლიბერალურ იდეებს უკავშირებენ. გამოდის, უწარსულო, უეროვნებო, ტრადიციების არმქონენი გაბატონდნენ? სად გაქრა ნამდვილი მწერლობა?

— ეს ცხოველური ინსტიქტებია. ვაჟა-ფშაველა ასეთებს უსამშობლო, მარტივი გრძობის ადამიანებს უწოდებდა. ახლა,

ტელე-გადაცემებში ქალბატონს ვკითხვებ: რამდენჯერ გქონდათ წუხელ სექსიო? — ისიც ჩაიციანებს და რაღაცას პასუხობს. აი, როგორი ცხოველური ინსტიქტების სამყაროა წარმოდგენილი მწერლობაში, რასაც ბუღაძეები, ტორესა მოსები გვთავაზობენ. ჩვენ, დიდი მწერლების ნაწარმოებებზე ვაგვიზარდეთ. 17 წლის ასაკში შევდგი ფეხი უნივერსიტეტის ბაღში, სადაც უფროსი თაობის წარმომადგენლები: შოთა ჩანტლაძე, ჯარჯი ფხოველი, თეოდორე ბეჟინი და სხვანიც იქ იყვნენ. უნივერსიტეტში ქართული სულის აღზევნა იყო. ჩვენ, მოვესწარით უნივერსიტეტის დამფუძნებელთ, რომლებიც ქუდს მოგვიხდიდნენ და ისე გვესალმებოდნენ. სამწუხაროდ, მოგვიანებით, იმასაც მოვესწარი, რომ ქალბატონები კათედრაზე საცვლებს დააფრიალებდნენ: იყიდეთო. ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის ტაძარი ვაი-უნივერსიტეტად გადააქციეს. ჩემს დროს, აუდი-

ტორები სტუდენტებით იყო სავესე. ახლა, ჩემმა მასწავლებელმა მითხრა: ორი სტუდენტი მყავსო. ძალიან ბევრი კათედრა გააუქმეს. ნომადი ბართაია მითხრა: არმე-ნოლოგიის კათედრა, საერთოდ, აღარ არსებობსო. ამ დროს, ერევნის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ორი კათედრა არსებობს, ასევე, 4-5 სკოლაში ქართულ ენას სპეციალურად ასწავლიანო. მწერლობას დაუბრუნდეთ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ჩემი მეგობარია შეურაცხყოფილი ამ ავსულ მწერალთა გამონათქვამებით. ჩვენ, უწინგურებს გვეძახიან. ერთხელ, მათ „დიდებულ“ შემოქმედებას თვალი გადავაკვლე და მათ ნაზრევში ერთი ქართული მარღვიანი წინადადება ვერ ვიპოვე. აქვე, ერთიც მინდა გითხრათ: ძველი ინდური სიბრძნის მიხედვით: ვერც ასთვალაიანი ღმერთი ხინდრა და ვერც ათასთვალაიანი ღმერთი შივა ვერ ხედავს იმას, რასაც მწიგნობარის, შემოქმედის ადამიანური თვალი. ეს, ქვეცნობიერად, კარგად იცოდნენ მეფეებმა, რომელთაც მრჩეველებად, ყოველთვის, ბრძენი მწიგნობრები, იგივე, მწერლები ჰყავდათ. ეს ფენომენი ქართულ სინამდვილეს კარგად რომ არ გაეაზრებინა, ჩვენ არც დავით აღმაშენებელი გვეყოლებოდა, არც მისი აღმზრდელი





გიორგი ჭყონდიდელი. მწერალთა, მწიგნობართა თაობამ, სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი ერი გადაარჩინა. დიმიტრი ფიფია-ნი, რაფიელ ერისთავი, ილია, ვაჟა აკაკი — ის თაობა იყო, რომელთაც მინავლებულ პატრიოტულ გრძობებს სული შთაჰბერეს. მერე, სასწაული მოხდა და იმპერიის ხანაში მყოფი საქართველო კვდომისგან გადარჩა. ეს მტერმა კარგად უწყობდა და როცა თავისუფლება მოვიპოვეთ, ამ ავსულებს უღმერთთა შეგონებით, ფაქტობრივად, ილია ლამის ხალხს შეაძულეს. სკოლებში კლასიკოსები აღარ ისწავლებოდა, სანამ დევნილი თაობის რეაბილიტაცია არ მოხდა. ეროვნულმა პარლამენტმა თავის გარშემო პატიოსანი მწერლები შემოიკრიბა. თუმცა, ეროვნულ მთავრობაში შემოგზავნილმა ქვეყნის მოღალატეებმა მუშაობა არ დააცადეს. ვერც წარმოედგენდით, პატარა ერში ამდენი მოღალატე თუ იქნებოდა. დღევანდელ და ეროვნულ პარლამენტს შორის, განსხვავებაა. ახლა, ვაჭარს ბიზნესმენს ეძახიან. ამჟამინდელ პარლამენტართა უმრავლესობა სულ ვაჭრები, ანუ, ბიზნესმენები არიან. ფაქტობრივად, ქვეყანა ვაჭართა ხელში აღმოჩნდა. საქართველოს არაფერი ეშველება, სანამ ავსულებს ლამქარს არ გავანადგურებთ. მათი კნავილი მაშინ დამთავრდება, როცა მაცხოვრისკენ გავიხედოთ და მრავალჟამიერს დავაგუგუნებთ.

— მწერლის სახელი, სამწუხაროდ, ადვილად საშოვარი გახდა. დღეს, მწერალთა კავშირს 1000-მდე წევრი ჰყავს. უზარმაზრამა მაკულატურამ ნამდვილი მწერლობა გადაფარა. რა ეშველება ამ პრობლემას?

— ეს, გადაუჭრელი პრობლემაა. კი ბატონო, წერას ვერავის აუკრძალავ. ლექსიანე ერთი ლექტორი გვეუბნებოდა: ახალგაზრდებო, ისეთი ჟამი ჩამოდგა, ეცადეთ სათქმელი მოკლედ და ლაკონურად თქვათ. ტოლსტოის, დოსტოევსკის ტომეულების წაკითხვის დრო აღარ არისო. ადრე, ასეთი წესი იყო: თუ სამიოთხი წიგნი ავტორი არ იყავი, მწერალთა კავშირში არავინ მიგიღებდა. ამაზე ერთხელ ვთქვი: ალბათ, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი მწერალთა კავშირის წევრები ვერასდროს გახდებოდნენ. მათ ხომ თითო წიგნი დაუტოვეს კაცობრიობას, სამშობლოს. ახლა, მწერლები გამოცემული წიგნების რიცხოვნობით თავს იწონებენ. რიგი ადამიანების მოსაზრებით: თანამედროვე ევროპულ მწერლობას ემოციური მუხტი არ გააჩნია. ამ დროს, როგორც ილიამ თქვა: პოეზია ნიჭი,

მადლია. იგი, სულის ემოციური სახე-ხატია. ამის გარეშე, არც ლექსი ვარგა და არც მოთხრობა. ახლა, ზოგმა ბიზნესმენმაც პოეტობა მოინდომა. ადრე, მწერალს, პოეტს აღმერთებდნენ. ახლა, სამაგიეროდ, ტორესა მოსების ფაში ჩამოდგა, ხოლო ჭეშმარიტი პოეტები, რომელთაც უდიდესი გულსიტკივილი დააქვთ ამა ქვეყნისა, იგნორირებული არიან. ეს რთული საკითხია. სხვათა შორის, კულტურის მინისტრთა წულუკიანის დიდი ეროვნული სულიერების თვისებები გააჩნია. სააკაშვილმა გამოემცემლობები, მწერალთა სახლი, ყველაფერი ავსულებს გადაულოცა. ბუნებრივია, მათთან ბრძოლა უწყვეს თქვენს კოლექტივს, „საერთო გაზეთს“, რასაც მე, დიდ ეროვნულ განმად მივიჩნევ.

— ილიას დროს ქართული მწერლობა ერთიანი იყო, ყველა საერთო საქმეს ემსახურებოდა. სად გაქრა ეს ერთიანობა?

— ამის მიზეზი შემდეგია: როცა ეროვნულ ხელისუფლებასზე იერიში მიიტანეს და ავსულები გამეფდა, მათ სამშობლოს მოყვარულნი მტრებად გამოაცხადეს. ტელე-შოუებში თუ გინახავთ, ჭეშმარიტ ქართველ მწერალს ესაუბროს?! დღეს, მოწამის გვირგვინები უღირსებმა დაიდგეს. მოღალატეებმა ეროვნულ ხელისუფლებას ბომბები დაუშინეს და საასპარეზო არეალიდან განდევნეს. მერე, ყველაფერი, მათ ხელში აღმოჩნდა. ამიტომ, სადაც მადლი და უფალი არ არის, იქ, ასეთ ლაფიან სინამდვილეს ვიღებთ, რასაც ვაჟა-ფშაველა ვულისტკივილით აღნიშნავდა.

— თქვენ, დასაწყისში დედაბობის მნიშვნელობაზე ისაუბრეთ. ახლა, დედის გინებას ტაბუ აეხსნა, თან გვეუბნებიან: ეს სიტყვის თავისუფლებააო.

— მეტიც, რახანია ახალგაზრდები ჩემი დედა... გაიძახიან. ამას ვინ წარმოიდგენდა. დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოიხეო, ხომ გაგიგონიათ. საინტერესოა, ვინ არიან ამ ვითომ მწერლების მშობლები, რას საქმიანობენ და ა.შ. მაგალითად, როგორ გაზარდეს ყოველგვარი სიძულვილის, უკეთურების განსახიერება — მდებრი ავსული თაკო ჩარკვიანი. ანდაც, ელენე ზოშტარია. ეს კაცთმოძულე დედაკაცი, მამის ასლია. რა მაგალითს აძლევს მომავალ თაობას? ბავშვი ხომ ცდილობს უფროსს მიბადოს. მე, ტრადიციულ ოჯახში გაიზარდე. დედის და ბების დილა 6 საათზე შრომით იწყებოდა. კაცები გარეთ მუშაობდნენ. ბებია ბაბუას ორ-სამ წინადადებას თუ ეტყოდა. მერე, შუადღეზე დაუბახებდა: მობრძანდი ბატონო, სადილი მიირთვიო. ამოდ ტლიკინისთვის არავის ეცალა, ყველა შრომამში იყო. ჩვენი დედები, ბებიები დღისმშობლის სახე-ხატი იყვნენ. ახლა, ვინ არიან ამ ავსულების — ბუღალტერების და მისთანების მშობლები. გია ბუღაძე საკუთარ თავს ქართველად მიიჩნევს და ჩვენ, პუტინის მომხრეებს გვეძახის. ხელისუფლებამ ყველას საკადრისი პასუხი უნდა გასცეს — არ შეიძლება მგელმა და ცხვარმა ერთად მოძოვოს, არ შეიძლება აკაციის ხემ ვაზის მტევანი გამოისხას. ბოროტი არის ბოროტი. გარს უამრავი მტერი გვახვევია. როგორც აღვნიშნე: ადრე ერთ-თავიანი ურჩხული გვებრძოდა, ახლა — ათასთავიანი. ამერიკის ელჩმა თითი დაგვიქნია: თუ ამ კაცთმოძულეებისა და ავსულებს ლამქარს საქართველოც არ შეუერთდება, მაშინ ისე ვიმოქმედებთ, როგორც საჭიროაო. ქართველი დედის თემას დაეუბრუნდეთ. მე-19 საუკუნეში ილიას თაობამ მიძინე-

ბული საქართველო გამოადგოდა. მაშინ, ქართველი ქალის ფუნქციის მოშლის გამო, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი დიდ ტკივილს განიცდიდნენ. ილიას ქართლის დედა ასე წარმოედგინა: „ვაჟ, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შეილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“. მწამს რომ ილიას, რომელიც ავსულებს ასე ყელში ეჩხირებათ, ნატვრა აუსრულდება. ბედნიერება მქონდა გავცნობოდი მერაბ კოსტავას დედას — ოლღა დემურას. იგი ამბობდა: მთავარია, მერაბმა საქართველოსთვის ხომ იცხოვრა და იღვაწო. ასეთი დედები მრავლად არიან. ტელევიზორში ყოფილ მოდელს მოვკარი თვალი, 4 შვილი მყავს და მეხუთეზე ორსულად ვარო — ამბობდა. პირველი რომ გაეჩინე, ისეთი სურნელი ჰქონდა, კიდევ მომინდა შვილის გაჩენაო.

— ბატონო ირაკლი, თქვენ, 9 აპრილის მონაწილე ბრძანდებით. როგორ გაიხსენებდით იმ პერიოდს?

— ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ერთიანობის ზღაპრული გამოვლინება იყო. 8 აპრილს რუსთაველზე ვიდექი ნოდარ წულუისკირთან, თამარ ვაშაყმაძესთან, მურმან ჯგუბურიასთან და სხვებთან ერთად. მთელი ერი და ბერი ერთად ვიყავით. მაშინ საქართველო ერთიანი იყო. რუსეთმა სისხლიანი, იმპერიული სახე გამოაჩინა, როგორც არ დაგვინდო და არც არასდროს დაგვინდობს. იმპერიები, ყოველთვის, ძალადობენ. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით — სამშობლოს მოღალატეების გამო ეროვნული ერთიანობაც დაიშალა და ციხეც შიგნიდან გატყდა. სად არიან შევარდნაძის შვილები, რას საქმი-

ნობენ? აქეთ, სააკაშვილის დედა სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი გვამუნათებს და გვაცოდებს ამ ხუმტურთან, უზნეო კაცს, რომელსაც ოჯახზე, საერთოდ, წარმოედგინა არ აქვს. ხალხს რომელსაც ოპოზიციას ვეძახით, სინამდვილეში, სამყაროს გამაზრდებელი ძალის მიერ შემოგზავნილი, ქართულად მოლაპარაკე ავსულები არიან, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ქვეყნის დანგრევისთვის იბრძვიან. ეს სექტაა. ასეთი კაცთმოძულე მტერი, საქართველოს ჯერ არ ჰყოლია.

— თქვენ, 9 აპრილს მოწამულულთაგან ერთ-ერთი ხართ, ხელისუფლება თუ იჩენს თქვენდამი ყურადღებას?

— 9 აპრილის შემდეგ რამდენმა დრომ გაიარა, მაგრამ დღემდე მტანჯავს ტკივილები. ჩემი დაც 9 აპრილს შეეწირა. ერთი წლის წინათ გარდაიცვალა. ამ დრომდე ცოცხალი რომ ვარ, ჩემი მეგობრების სიყვარულის დამსახურებაა. მათ რიცხვშია ვახტანგ ხარჩილავა, კობა არაბული, ნომადი ბართაია, ძმები პეტრიაშვილები. ჩემმა მოძღვარმა მამა იოანე არჩილ თალაკვაძე გამაცნო. მითხრა: ლექსებს წერს და გადაათვალიერეო. მერე, დავმეგობრდით და ბატონი არჩილი ყოველი გაჭირვების შამს, დიდი სიყვარულით გვიმარტოვებდა და მიხმარებდა. ჩვენ, იმ ნამდვილი საქართველოს შვილები ვართ, რომელიც არსებობს და უკვდავია.

ბოლოს, ორიოდ სიტყვა ჟურნალისტიკაზე მინდა ვთქვა. ეს პროფესია ახალფეხადგმული იყო, როცა ბალზაკს გარკვეული მასალები მიუტანეს. მან გადაიკითხა და თქვა: დრო მოვა და თუ ამას ჟურნალისტიკა ჰქვია, ეს კაცობრიობას დალუპავსო. ახლა, გრიგოლიებს და მის მსგავსთ რომ ვუყურებ, ბალზაკის გამოანთქვაში მახსენდება. თუმცა, მადლობა ღმერთს, არსებობს ეროვნული სულის მატარებელი რამდენიმე გაზეთი, მათ შორის, „საერთო გაზეთი“, რომლის მიმართ მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო. ამ გაზეთის სათავეში ხელოვანი, პოეტი, ჩემი უსაყვარლესი მეგობარი ვახტანგ ხარჩილავა უდგას. მას ქვეყნის მაჯაზე აქვს ხელი დადებული და მის ყოველგვარ ტკივილს განიცდის.

— დიდი მადლობა, ბატონო ირაკლი, ძალზე საინტერესო საუბრისთვის. ჩვენი გაზეთის და მისი მკითხველების სახელით ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ!



ჯერ საქართველოს დრო არ დაეღვარა, მაგრამ ეს დროს აუხილებლად მოვა, ოღონდ იმ დრომდე, როგორც, სოსხლეგმა უნდა მივაღწიოთ

რა სინდისით ვთხოვთ ოკუპირებულ და ალყაში მოქცეულ ქვეყანას ისეთ ომში ჩაებას, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაშლით და დანგრევით დამთავრდება?

რა კარგი მახსოვრობა აქვთ ამ ჩვენს უცხოელ მეგობრებს — თოთხმეტი წლის შემდეგ ახლა გაახსენდათ, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში საქართველო მარტო, პირისპირ შეატოვეს რუსეთს, რომელმაც ისე გადასანსლა საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი, ისე მიგვიწვინა მოგვიწვინა, ამ ჩვენი მეგობრებიდან ხმა-კრინტი არავის დაუძრავს.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველაფერი დამთავრდა, როცა რუსეთმა დასახულ მიზანს მიაღწია, აი, მერე ჩამობრძანდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების პირველი პირები და 12 აგვისტოს „თავისუფლების მოედანზე“ გამართულ გრანდიოზულ კონცერტს შეუერთდნენ, სადაც სააკაშვილთან ერთად „გამარჯვება“

„თავისუფლების მოედანზე“ შეკრებილები.

საკაშვილის გადარჩენაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელმა ოპოზიციამ, რომელმაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეაჩერა ბრძოლა სააკაშვილისა და „ნაციონალისტების“ ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ეს, ოპოზიციის აზრით, რუსეთის წისქვილზე დაასხამდა წყალს, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა სააკაშვილის გადადგომას.

ამ ამბების შემდეგ კიდევ ხუთი წელი იბოგინა სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე და ამ ხუთი წლის განმავლო-

ვინებით გვთხოვს, შევეუერთდეთ სანქციებს და ღიად დაუპირისპირდეთ რუსეთს.

რომ დაუპირისპირდეთ, რით და როგორ, ჩვენ ხომ ოკუპირებული ქვეყანა ვართ, ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, ალყაში ვყავართ რუსეთის მომწყვდეული.

თქვენ ეს არ იცით, პატივცემულ მეგობრებო დასავლეთიდან? და თუ მართლაც არ იცით, ყურადღებით მიმოიხედეთ გარშემო და დარწმუნდებით, რომ ოკუპაციას გადარჩენილი დანარჩენი საქართველოც ალყაშია და საკმარისია მცირედი გაფართოლება და ერთ დღეში მოგვეგუდავენ რუსები და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრულ კონტროლს დაამყარებენ.

ეს გინდათ რომ მოხდეს თქვენ, ალყაში მოქცეულ ქვეყანას რუსეთთან ახალი ომისკენ რომ გვიბიძგებთ?

კი, მაგრამ, რა ხეირი აქედან ან ნატოს, ან ამერიკას, ან ევროკავშირს?

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ჩვენს მეგობრებს დასავლეთიდან კარგი მახსოვრობა ჰქონიათ თურმე და თოთხმეტი წლის წინათ საქართველოს რომ არ დაეხმარნენ, დღეს გაახსენდათ, თუმცა, როგორც ჩანს, მათი მახსოვრობა უფრო შორს ვერ მიდის და ის არ ახსოვთ, რა ტრაგედია დატრიალდა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში.

არადა, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ გასული — სულ რაღაც ოცდაათი წელია.

ტანჯვით და წვალებით მოპოვებული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გარედან მართულმა ძალებმა ერთ წელიწადში საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი გზით, დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით არჩეული ხელისუფლება, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აიძულეს ქვეყნიდან წასულიყო, ხელისუფლების სათავეში კი, იცით, ვინ მოვიდნენ? — კანონიერი ქურდი იოსელიანი და „ძველი ბიჭი“ კიტოვანი.

ამ სისხლიანი სახელმწიფო



გადატრიალების მთელი ცინიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ყველაფერი მისი უდიდებულესობის — დემოკრატიის, სახელით გაკეთდა, ვითომ გამსახურდია დიქტატორი იყო და ამით, ამ ბანდიტებმა, დიქტატორი დაამხეს და ქვეყანაში დემოკრატია დაამყარეს. მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებულ პრეზიდენტ გამსახურდიას მოსაკლავად გამოეკიდნენ. მანამდე არ მოისვენეს, სანამ სამეგრელოს ერთ მიერეულ სოფელში არ მოკლეს, თუმცა ხმა დააგდეს, ჩვენ კი არ მოგვიკლავს, თვითონ მოიკლა თავი.

ამ ამბების პარალელურად საქართველო ისევ და ისევ რუსების მიერ პროვოცირებულ ქართულ-აფხაზურ ომში იბრძოდა, იბრძოდა მარტო, თითქმის შიმშველი ხელებით, მაგრამ მაინც 13 თვე გაუძლო რუსული სამხედრო ტექნიკით კბილებამდე შეიარაღებულ ე. წ. ჩრდილო კავკასიელ კონფედერატებს და რუსულ საჯარისო ნაწილებს.

10 000 მშვიდობიანი მოქალაქე და 3 000-მდე მეომარი შეეწირა ამ ომს, 300 000 ქართველი მშობლიური სახლ-კარიდან გამოყარეს და ლტოლვილებად აქციეს.

ეს იყო ქართველების წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი გენოციდი, მაგრამ მაინც „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ — არავინ გამოგვსარჩლებია, არავის დაურისხებია განგაშის ზარები საერთაშორისო ტრიბუნებიდან.

1989 წლის 9 აპრილიდან 2008

პასტანგ ხარჩილაგა



იზეიმეს, ოღონდ დღემდე ვერავინ გაარკვია, რა გამარჯვებას ზეიმობდნენ კონცერტის მონაწილეები, მაშინ, როცა ბრძოლის ველზე ჯერ კიდევ დაუმარხავი ქართველი ბიჭების ცხედრები ეყარა, კოლორიის ხეობა, სამაჩაბლო, თავის ახალგორიანად, უკვე ოკუპირებული იყო, ხოლო თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრში მტრის ჯარი იდგა.

ყველა ნორმალურ ადამიანს, ვისაც ეს „კონცერტი“ უნახავს, დღემდე კოშმარული სიზმარივით ახსოვს ის გამაოგნებელი „სანახაობა“, რაღაცნაირი კონგულსიური როკვა და ღრანცელი ეგზალტირებული მასისა, სცენაზე კი სააკაშვილი და მისი ამფსონები გაბადრული სახეებითა და გაბრწყინებული თვალებით.

— ჩვენი მეგობარი პრეზიდენტები რომ ჩამოვიდნენ, მაგალითად, იუშჩენკო, მაგან გადაარჩინა საქართველო, — აცხადებენ ნაციონალები.

სიცრუეა ეს — საპარტიზოლო კი არა, სააკაშვილი გადარჩინა მაშინ დასავლეთმა, სააკაშვილი, რომელმაც, როგორც მალევე გაირკვა, თავისი წინდაუხედავი და ავანტურისტული ქმედებებით გარკვეული ბიძგი მისცა რუსეთს, საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა განეხორციელებინა.

სწორედ სააკაშვილის გადარჩენას ზეიმობდნენ 12 აგვისტოს

ბაში იმდენი ზიანი მიაყენა ქვეყანას საქართველოს დამზიანებელი რუსეთის სასარგებლოდ, იქნებ, სჯობდა, 2008 წელსვე ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისთვის.

ზომ ამდენი საშინელება დაგვატეხა თავს 2008 წელს რუსეთმა, უძველესი ქართული რეგიონები დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად“ გამოაცხადა, შიგ რუსული სამხედრო ბაზები განალაგა, მაგრამ არც სანქციები დაუწესებია ვინმეს მოძალადისთვის, არც ზედმეტი საყვედური უთქვამს, ის კი არა, ევროსაბჭომ ისეთი რეზოლუცია მიიღო, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ომი რუსეთმა კი არა, საქართველომ დაიწყო.

რატომ ავიწყდებათ ეს ამბავი ვიდაც-ვიდაცებს, ვინც დღეს და-



რუსეთ-უკრაინის ომის „ბერძენის საკუთხაღი“

მე არ ვარ სერიოზული მოყვარული, მაგრამ „დიდებული საუკუნე“ რამდენიმეჯერ ვნახე. თურქეთის სულტნის სულეიმან პირველის მეუღლის პიურემის ისტორიის ხატით.

მხატვრული ფილმები, როგორც წესი, ისტორიულ ჭეშმარიტებად არ ჩაითვლება და მეც ამ ფილმის ისტორიული სინამდვილის აღქმისთვის არც ვუყურებდი. ჩემთვის უფრო საინტერესო იყო ფილმის ყველა პერსონაჟის ტრაგიკული ბედი, რომელიც საერთოდ ყველას ხედავდა ამ წუთისოფელში, დაწყებული დაბალი ფენის ადამიანებიდან, დამთავრებული თვით ხელმწიფემდე.

იმ ფილმშიც, თუ კარგად დავაკვირდებით, ყველა ადამიანი საბოლოოდ უბედურია, რაც სხ-

ველ სივრცედ აყალიბებდა. მალე უცხოელმა პატრონებმა ბასმაჩებს — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლებს შუა აზიაში — საბჭოთა ხელისუფლების განადგურება დაავალეს. იმ ხანებში ბასმაჩების ყველაზე მრავალრიცხოვან არმიას სარდლობდა თურქი ოფიცერი, თურქეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თურქეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრი, სომხების, ასირიელებისა და ბერძენების გენოციდის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი ენვერ ფაშა, იგი დღეს თურქეთის ეროვნულ გმირად არის აღიარებული.

1990-იანი წლებიდან ანკარამ მკვლევართან ალაღინა „დიადი თურანის“ გლობალისტური პროექტი.



ვა მნიშვნელოვან ქვეტექსტებთან ერთად, არის კიდევაც იმ მართლაც შესანიშნავი სერიალის მთავარი დედააზრი.

„დიდებული საუკუნის“ დედოფალი, სულტნის საყვარელი ცოლი — პიურემი უკრაინელია. უკრაინელი მღვდლის ქალიშვილი, რომელსაც თურქეთში როკსოლანა უწოდეს. ის ყირიმელმა თათრებმა ჩაიყვანეს სტამბულში და მონათა ბაზარზე გაყიდეს. მისი სახელი არავინ იცის, როკსოლანებს სლავეური წარმოშობის ტყვე გოგონებს უწოდებდნენ თურქეთში.

ისტორიული წყაროები აღნიშნავენ, პიურემის დამსახურება იყო, მე-17 საუკუნის შუა წლებამდე უკრაინა რამდენჯერმე რომ გადაურჩა თურქების თარეშს.

მართლაც დიდებული მმართველი იყო სულეიმანის თურქებისთვის და მათ თვალში. მისი მმართველობის პერიოდში თურქეთმა უდიდესი ტერიტორიები დაიპყრო.

დღეს სტამბოლს ისტორიკოსები პანთურქიზმის მსოფლიო დედაქალაქად მიიჩნევენ, იმ ცივილიზაციის სიმბოლოდ, რომელიც ასი წლის წინათ დაიშალა, მაგრამ მილიონობით თურქის გონებაში დაილექა და ღვივის, როგორც დიდი ეროვნული სიამაყე და სანუკვარი ოცნება.

ცნობილია, რომ შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკები 1917 წლის რევოლუციამდე მეფის რუსეთის იმპერიის რეგიონის — თურქესტანის ნაწილებად იყო წარმოდგენილი. ენისა და კულტურის ერთიანობა თურქესტანს დიდი გეოპოლიტიკური პროექტების განხორციელების მიზიდ-

თურქეთი „მარტო“ არაა, მის უკან, როგორც აშშ და ნატო, ასევე, ბუნებრივია, დიდი ბრიტანეთიც დგას.

ნაციონალური სულისკვეთებით გაფლანგილი თურქები თავიანთ სახელმწიფოს წარმოდგენენ ალბანეთიდან, კოსოვოდან და ბულგარეთიდან გადაჭიმულს რუსეთის ფედერაციის ციმბირის რესპუბლიკებამდე.

პანთურქულ სამყაროდ თვლიან მონღოლეთსაც, რადგან თანამედროვე თურქები წარმოშობით სწორედ იქედან არიან. ლეგენდის თანახმად, ძუ მგელმა გამოიყვანა თურქები მონღოლეთის უკაცრიელი სტეპებიდან.

მგელი არის რადიკალური თურქული მოძრაობის „რუხი მგლების“ მთავარი სიმბოლო. იგივე სიმბოლო ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს ჩრჩინ სეპარატისტების დროშას.

თურქეთის მნიშვნელოვანი ინფორმაციული და კულტურული

გავლენა აქვს მოპოვებული ყაზახეთზე, უზბეკეთზე, ყირგიზეთზე, ტაჯიკეთზე და თურქმენეთზე, როგორც მონათესავე ტომებზე, ასევე რუსეთში შემავალ ყირიმის, ჩეჩნეთის, დაღესტნის, ინგუშეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკებზე.

თურქესტანის ხალხების ენისა და სისხლისმიერი ნათესაობის იდეა XIX საუკუნის შუა წლებში საჯარო გახდა ვინმე არმინი ვამბერი — მეცნიერმა, მოგზაურმა და მოღვაწემ. როგორც ვარაუდობენ, თურქეთის სულტნის ნდობით აღჭურვილი უნგრელი ებრაელი დიდი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტიც იყო.

არმინი ვამბერი იდეური ნათესავია ასევე უნგრელი ებრაელი ჯორჯ სოროსი, რომლის ნამდვილი გვარ-სახელი — დიორდ შვარცია. როგორც ამბობენ, პოლოკოსტის დროს დიორდის მშობლებმა გვარი შვარცი უნგრული ფედერაციისთვის სოროსად გადაიკეთეს, აშშ-ში დამკვიდრების შემდეგ კი დიორდ შოროსი ჯორჯ სოროსი გახდა.

არ დაგავიწყდეთ, ჯორჯ სოროსს არასდროს დაუმალავს, რომ სააკაშვილი მისი „პროექტი“ იყო.

რაც შეეხება თურქეთს, ეს სახელმწიფო წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა უკრაინასთან, მათ შორის სამხედრო სფეროშიც, ის იყო ბოლო წლების განმავლობაში უკრაინის არმიის აღჭურვის გარანტი და მავარი დამხმარე.

მიუხედავად ამისა, ცხადია, მოვლენებს, რომლებიც მიმდინარეობს დღეს რუსეთ-უკრაინას შორის, არ შეიძლება მხოლოდ ერთი კუთხით შევხედოთ, თუნდაც თურქეთის, ან მხოლოდ რუსეთის ინტერესის საგნად, იქ მრავალი ქვეყნის სტრატეგიული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები იკვეთება და უკრაინაში მიმდინარე პროცესები, როგორც უნდა განვითარდეს ის, როგორც ამას ე.წ. ოპოზიციონერები და მოფაშისტო ელემენტები უტყენან ხალხს თავში, სრულიად არ არის აფხაზეთის ან სამაჩაბლოს დაბრუნების უტყუარი გარანტი.

რუსეთის და უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობა არის მსხ-



ვერპლი, დაუნდობელი ომის მსხვერპლი და შეუძლებელია გულმოკლული არ უყურებდე მათ ტრაგედიას, მაგრამ კეთილშობილი ქართველი ხალხი აქ უძღურია, მეტიც, არ არის გამორიცხული, როგორც არაერთხელ, ახლაც მსხვერპლის როლში აღმოჩნდეს, თუ საჭიროდ მიიჩნის ან დიდი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად, ან ძალად მაცხოვრებს როლის მორგების კონტექსტში.

გუშინ სადგურის მოედანზე მოვხვდი, აი, იქ, პური და ფუნთუშები რომ იყიდება, ძველი სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარედ. უცებ ჩოჩქოლივით ატყდა. თავჩაღუნული უბრალოდ ჩაცმული ქალი მტირალ პატარა გოგონას ექაჩებოდა და შეწუხებული ძალიან ჩქარობდა იქაურობას გაცლოდა. გამყიდველი ქალბატონები წვევლიდნენ ქალს და მის ბავშვს. ერთმა იქვე პატარა ჯოხის ნატეხიც ესროლა დედაშვილს: ჯანდაბა და ოხრობა შენ, წაეთრე შენს რუსეთში. — კიოდნენ გაცეცხლებული გამყიდველი ქალები. როგორც გავიგე, საომარი მდგომარეობის გამო თბილისში გამოქცეული რუსი ქალბატონის ასე, სამი წლის გოგონას „ბულიკი“ დაუნახავს და რუსულად დაუწვია წუწუნი, მიყიდე, მიყიდეო, დედას არც უცდია, ვეიდა, ბავშვს ექაჩებოდა თურმე, წამოდიო. ეს საუბარი გაუგონიათ გამყიდველებს. რუსული ლაპარაკი რომ გაავიგონეთ, ლამის გავწვიწვინა რუსის ძუკნა და მისი გოგო, მითხრეს აღმოფოთებულმა, ეროვნული გრძობებით აღტყინებულმა, ბაზრობაზე დახლის წინ ერთ ადგილას დგომით გა-

დადლილმა პატიოსანმა გამყიდველმა ქალბატონმა...

რუსეთ-საქართველოს „დამდურებაზე“, კონფლიქტზე და გათიშულობაზე არაერთხელ დაწერილა ექსპერტების მიერაც და არსებობს საზოგადოების წარმომადგენლების ყურადღებაშისქცევი უამრავი შეხედულება.

არაერთხელ განხილულა ბოლოდროინდელი ომის თემაც ცხინვალის რეგიონში, მაგრამ პროპაგანდა მაინც მუშაობს და ეს პროპაგანდა ხშირად დამლუპველია.

ამ „დამლუპველობას“, ხანდახან გონებრივ სიბნელეს და დეზინფორმაციას, ხელს ისევე ქართული ტელევიზიების უმრავლესობა უწყობს, დემოკრატიის სახელით თიშავს რუსულ არხებს, ვითომდა ოკუპანტის ტელევიზიას არ უნდა ვუყურებოთ...

ადამიანის თავისუფლების, თავისუფალი აზროვნების, თავისუფალი არჩევანის ადგილი აქ სად არის, მე ვერ ვხედავ, მაგრამ გრიგოლიები და მელაძე-კვეციტაძეები ხედავენ, თუმცა, ვაი, იმ ხედვას...

ჩვენ კი ტოლერანტული ვართ ვართო, ვამბობთ, ხოლო პატარა რუსი გოგონა ჩვენს წინაშე დამნაშავეა.

კარგი, გეთანხმებით, მაგრამ, ამბობენ, აფხაზეთის ომში უკრაინელმა სნაიპერმა ქალბატონი ყველაზე მეტი ქართველი მეომარი ახალგაზრდა დახოცესო, ბალტინის ჯარის ამბებიც გეხსომებათ, თურქეთზე აღარაფერს ვიტყვი, სომხეთის მიერ ომის გამოცხადებაზე, აზერბაიჯანის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორიებზე ძველ საინგლოში და რა უნდა ვქნათ, ყველას ვაპატიოთ რუსების გარდა, თუ ყველას ვეომოთ ერთად?

საქართველოში შავკანიანს და ჩინელს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე თეთრკანიან ჩრდილოელს და რანაირი ტოლერანტობა და რანაირი შეხედულება ეს?! თუ ასე გაგაგრძელებთ, ირგვლივ არ მიმოვიხედეთ, მხოლოდ შაქრის და მარილის დეფიციტზე ვიფიქრეთ და დღეს რა ვჭამო უკეთესიო, ამ ვითარებაში, რა მოეწონის ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს და თითოეულ ჩვენგანს, „ხარება და გოგოას“ არ იყოს „ჩორტ ვეოზნაეტ“...



მოვუწოდებ ხელისუფლებას, გამოხსნადეს საგანგებო მდგომარეობა, რომ აღიკვეთოს იმ ნაპირების მოლაშტური და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომლების საქართველოს ომისკენ უბიძგებენ

გვესაუბრება
პოლიტიკის ანალიტიკოსი
გულბაათ რცხილაძე

— ბატონო გულბაათ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ყველაზე აქტუალური საკითხია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც და მეც ამ საკითხზე შეკითხვით მინდა დავიწყო. როგორ გესახებათ კონფლიქტის მომავალი?

— მიმაჩნია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები ბოლომდე მიიყვანენ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას და კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება.

სამხედრო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიევის რეჟიმმა ან კაპიტულაცია უნდა გამოაცხადოს, ან გაიქცეს და ძალაუფლება უფრო ადეკვატურმა ძალებმა გადაიბარონ. რუსეთის ხელისუფლების მთავარი ამოცანაა, მტრული რეჟიმის დემონტაჟი მეზობელ სახელმწიფოში, რომელიც 8 წლის მანძილზე ადვილებს რუსოფობიას, აფეთქებებს აქამდე

ბიდან მალე გაიწმინდება ყველაზე დიდი ქალაქი - მელიტოპოლი. ამრიგად, რუსეთს უკვე აქვს სახმელეთო მისასვლელი ყირიმთან, რაც აქამდე არ ჰქონდა. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რუსები დგანან კახოვკაში, კახოვკის წყალსაცავთან და აკონტროლებენ ყირიმისკენ მიმავალ სარწყავ არხებს; უკრაინას ბოლო 8 წლის მანძილზე ეს არხები გადაკეტილი ჰქონდა, რის გამოც ყირიმის სოფლის მეურნეობა განჩანაგების პირას იყო მისული. გარდა ამისა, რუსები აკონტროლებენ ქალაქ ენერგოდარსს და ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს. ეს ყველაფერი, როგორც მოგახსენეთ, ქვეყნის სამხრეთშია. რუსეთი, ამ თვალსაზრისით, უკვე გამარჯვებულია, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, არის სხვა ამოცანებიც, რომლებიც კიევში რეჟიმის შეცვლას უკავშირდება.

— ბატონო გულბაათ, რას ფიქრობთ, კიდევ რა მიზეზები არსებობს ამ ომის დაწყებისა?

— დასავლეთი უკრაინასაც ისევე აქეზებდა და დღესაც აქე-

ში კიდევ უფრო შეილახება. აშშ თითქმის არაფერს რისკავს, მაგრამ ევროპა საკმაოდ ცუდ დღეშია ჩაუარდნილი - ისედაც გამკაცრებულ ენერგორესურსებზე, რუსეთის მიმართ სანქციების გამო, უკვე უზომოდ არის ფასდები გაზრდილი, როგორც საკუთრივ ენერგომატარებლებზე, ისე ბევრი დასახელების სამომხმარებლო პროდუქტზე, მათ შორის, ძვირდება კვების პროდუქტები. ევროპა დადგა ლტოლვილთა უზარმაზარი ტალღის წინაშე და ის აბსოლუტურად მოუძნადებელია ამისათვის.

— ამბობენ, რომ რუსეთმა იჩქარა და უკრაინაში შეჭრით საქმე გაართულა, თქვენი, როგორც ექსპერტის თვალთ და მოვლენების ანალიზით, რას იტყვით, შეეძლო ორივე მხარეს ამ კონფლიქტის თავიდან აცილება?

— მე 2014 წელს ვამბობდი, რომ რუსეთს ის უნდა გაეკეთებინა მაშინ, რასაც ახლა აკეთებს — დაეკავებინა არა მხოლოდ ყირიმის ნახევარკუნძული, არამედ ის ტერიტორიები, რომლებიც დღეს



აშკარა ანტირუსული ხასიათი მისცეს. უკმაყოფილო პუტინმა მაშინ კიევი ყირიმის ჩამორთმევითა და დონბასში აჯანყებულთა დახმარებით დასაჯა, მაგრამ ამით სტაბილობას ვერ მიაღწია. უკრაინამ ჯერ ხელი მოაწერა მინსკის შეთანხმებებს, მაგრამ შემდეგ, როცა სული მოითქვა, დიდი შეიარაღებების შეძენა დაიწყო დასავლეთში, მოაწყო მძლავრი გამაგრებული სამხედრო ინფრასტრუქტურა (განსაკუთრებით, დონბასის მიმდებარე ტერიტორიებზე) და რუსეთს გაურთულა სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობები. ეს ყველაფერი ცუდია საქართველოსთვისაც. უკრაინის რეჟიმი, მოგეხსენებათ, არამეგობრულია ჩვენი ხელისუფლების მიმართ და სააკაშვილისა და მის ბანდას უჭერს მხარს.

— ცხადია, დიდი გადათამაშებების წინა პერიოდის საომარი კონფლიქტი მიმდინარეობს უკრაინის ტერიტორიაზე; უკრაინა გაწირეს? უკრაინამ რაღაცის გამო თავი გაიწირა თუ ახლა იწყება უკრაინის ხსნა?

— ამ „დიდ თამაშში“ უკრაინის ბედი არავის აინტერესებს, მათ შორის, თავად კიევის დღევანდელ ხელისუფლებასაც. მთერთად გაწირეს ქვეყანა და ხალხი. წარმოიდგინეთ, რუსების მიმართ ააგორეს შავი პიარი - რუსული ჯარი საომრად წვევამდელებს აგზავნიდა, ამ დროს კი თავად 18 წლის ყმაწვილებსა და 60 წლის ხანშიშესულ ადამიანებს აიძულებენ, იომონ, 18-60 წლის ასაკობრივი დაპაზონის მამაკაცებს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალეს. ეს არ არის სამშობლოსთვის თავდადება, ეს არის სიგიჟე და უნაშუსობა, რადგან რუსეთის გამოწვევა კიევის რეჟიმმა მოახ-

დინა ნატოს თემის ახირებული მუსირებით, რასაც ემატებოდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დონბასის დაბომბვა. რომ არა ნატო და უკრაინაში ამერიკული სამხედრო ტექნიკის განთავსების პერსპექტივა, რუსეთის საზღვრებთან ახლოს, რუსეთი, ალბათ, ასეთ რადიკალურ ზომებს არ მიმართავდა.

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოზიცია? მოგწონთ ეს პოზიცია დღეს?

— ღარიბაშვილის განცხადებას მივესალმები, მაგრამ ნაციონალებმა და სხვა ნადირებმა ძალიან „აიშვეს“. ორჭოფული პოზიცია აქვს პრეზიდენტ ზურაბიშვილს, რომელიც იმ გზას დაადგა, როგორსაც თავის დროზე უეარგისი მარგველაშვილი. თქვენ ასევე იცით აშშ ელჩის არანაკლებ ბუნდოვანი პოზიცია, რომლის მიღმა რაღაც უსიამოვნო ქვეტექსტები იკითხება. ამიტომ, მივიჩნევ, რომ ჩვენი ხელისუფლების პოზიცია უნდა გამკაცრდეს. მე მოგუწოდებ ირაკლი ღარიბაშვილს უკრაინაში ომის დაწყებისთანავე, რომ პარლამენტში უნდა შევიდეს ინიციატივით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. ხალხი გვერდში დაუდგებით - ისეთებიც, ვისაც მაინცდამაინც არ მოგვწონს „ოცნება“. უნდა აიკრძალოს „მიტინგობანა“ და იმ ნადირალების პარპაში, რომლებიც საქართველოს უბედურებისკენ მიაქანებენ. ჩვენი ქვეყანა უნდა დაწყნარდეს, ფხიზლად ვიყოთ და დაველოდოთ უკრაინაში საომარი მოქმედებების დასრულებას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



დიდი ხნით ისტორიის სანაგვეზე მოსროლილ ფაშისტოიდ პერსონაჟებს და, რაც მთავარია, რუსეთი დანაშაულებულია, რომ შეწყვედოს დონბასის, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების თითქმის განუწყვეტელი დაბომბვა უკრაინული საჯარისო შენაერთების მხრიდან. რუსეთს ამ ეტაპზე ამოცანის მინიმუმი უკვე შესრულებული აქვს - რუსულმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ტერიტორია დონბასიდან ყირიმამდე და აზოვის ზღვის გაყოლებით, საპორტო ქალაქი ბერდიანსკი, მელიტოპოლი და ხერსონი. უკრაინული ნაციონალისტური ბატალიონე-

ზებს რუსეთის წინააღმდეგ, როგორც მიშას ხელისუფლების დროს აქეზებდა საქართველოს 2000-იან წლებში. აშშ-სა და გლობალიზტურ ძალებს აწყობთ, მართლმადიდებელი სამეარო ომებით განჩანაგდეს. ამიტომაც ისინი შეიარაღებებს აწვდიან კიევის რეჟიმს, რათა ომი, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს და უფრო დამანგრეველი იყოს. მათ ასევე სურთ, რუსეთის პროვოცირება უკრაინული ქალაქების მასობრივ დაბომბვაზე, რათა დიდი მსხვერპლი გამოიწვიონ მშვიდობიან მოსახლეობაში - ამით რუსეთის იმიჯი მსოფლიო-

დაიკავა სამხრეთ უკრაინასა და დონბასში. მაშინ ამისი გაკეთება თითქმის უსისხლოდ, ბევრად უფრო უმტკიუნელოდ შეიძლება. დღეს ეს საკმაოდ დიდი სისხლის და უბედურების ფასად ჯდება. მინდა, რომ სწორად გამოვიგოთ - მე რუსულ დაპყრობით მადას კი არ ვაქეზებ, არამედ რეალისტურად ვუყურებ მოვლენებს. ეს კონფლიქტი გარდაუვალი იყო სისხლიანი „მაინის“ შემდეგ, როდესაც დასავლეთმა და უკრაინის რადიკალმა ნაციონალისტებმა მიღწეული შეთანხმება დაარღვიეს, პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს და ამ გადატრიალებას



ქალი, რომელზეც ახლა მოგითხრობთ, რამდენიმე თვის წინ „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყო, მერე „გამოვლელი“ დღეს ზმირად ამბობენ, ყოფილი „ნაცი“ არ არსებობსო. მართლაც, არ არსებობს, გინდა ხანადამისთან „შეზღუდვები“, გინდა - ბოკერიასთან „გადახტუნდეს“, გინდა - გირჩ ზურაბასთან „ახტუნდეს“. ეგ არი, თუ დამაალი სისხლი ერთხელ გადაისხი, სადაც არ უნდა წახვიდე, გაფუჭებული ხარ, შენი პობი და პროფესია მოლაღატობაა.

სალომე სამადაშვილი: „საქართველოს პრემიერს დღემდე არათუ ვიზიტი არ განუხორციელებია უკრაინაში, სატელეფონო ზარიც კი არ შემდგარა დარბაზში და ზელენსკის შორის. ეს არის ის პრემიერ-მინისტრი, რომელიც უკრაინელ ხალხს რამდენიმე დღის წინ ეუბნებოდა, რომ მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ, დასავლეთის სანქციებს და კრიტიკას არაფერის გაკეთება არ შეუძლია რუსეთის

ვიმეორებ: ეს დედაკაცი პრემიერს ადანაშაულებს, თითქოს ის უკრაინელებს უმტკიცებდა, ვერ გაიმარჯვებო. ასეთი რამ იყო? რა თქმა უნდა, არ იყო, მაგრამ ახლა ისეთ დღეში არიან, საკუთარი მშობლების ჩამოხრჩობაზეც კი არ იტყვიან უარს. არ დაგავიწყდეთ, ესენი იმ ბოლშევიკების შთამომავლები არიან, ქუჩა-ქუჩა დარბაზს უბრალოდ აკრებდნენ.

სალომე სამადაშვილი - ვინ არის, რას წარმოადგენს, რა „ბაგაჟი“ აქვს, მუდამ ჭკუაზე რომ გვარაიებს და საგარეო პოლიტიკასაც გვიწუნებს? ბიოგრაფიის ქართული მონაკვეთი წაშლილი

საპერცოგოში მას უნდა დაეხვეწა არა მხოლოდ აზროვნება, მიხვრა, მოხვრა, თავ-ფეხ-ხელების მოძრაობა, პლასტიკურობა, ღიმილი, გამომეტყველება, გრაციოზულობა და ასე შემდეგ, მაგრამ ჩემი ფეხები, უარესი დემარტა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ერთკვირიანი „გამონათება“ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს ეგონა, რომ გონება გაეხსნა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, თურმე სულ სხვა რამესთან გვექონია საქმე. ზემოთაც მოგახსენეთ, ფარული ჩანაწერი რომ გაუვრცელეს, ვიღაც მამ-



„საში“ საამადაშვილის ერთი პროფესია - მოლაღაბე!



შეკავების თვალსაზრისით. უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ომში და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მოუწევს პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება ყველაფერზე“.

დაახ, როგორც ხედავთ, გაფუჭდა!

ამ ქალის ამბავი შეგიძლიათ სრულად წაითხოთ ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმაში“!

მარჯვენა ლოყა ამკარად ჩამოედლობა მას შემდეგ, რაც მამუკა ხაზარაძის ბოსტანში გადახტუნდა. გახსოვთ, ფურული ჩანაწერი რომ დნაოდა, ფურული მინდა, თავზე ვერავის დაეფსმევიებო? ჰოდა, მიიღო ფერმაში, რაც უნდოდა - მოსუქდა, თავი დაიბანა, სავარცხელიც იყიდა... თუმცა გონებრივად მაინც არაფერი ეშველა. პირიქით, დალაგებულად ლაპარაკი უჭირს.

თურმე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ერთი ვიზიტიც კი არ „განუხორციელებია“ უკრაინაში!

ეგ რა არი, არც ზარი „განუხორციელებია“!

თუ არ „განახორციელა“, როცა ეს ომი დამთავრდება, ყველაფერზე პასუხს აგებს ეს ხელი-სუფლება!

არა, გაიგონეთ? ეს გაფუჭებული ცდილობს, ყველა მკვდარი კატა ირაკლი დარბაშვილს ჩამოჰკიდოს კისერზე!

სადაც თოფი გავარდება, ყველაგან ჩვენ უნდა ავიდოთ პასუხისმგებლობა, მა რააა!

თურმე დარბაშვილი უკრაინელებს ეუბნებოდა, შანსი არ გაქვთ, ვერ გაიმარჯვებო. ამის გატარება აღარ შეიძლება, მთავრობის ადმინისტრაციამ უნდა მიხედოს. ეს უკვე სამართლებრივი საკითხია.

რს ელაპარაკება, „ნაციონალიზმის“ „სასტავი“ არ მომწონს, სულ თავდაუბანლები არიან, „ქართულ ოცნებაში“ თავებს მაინც იბანენო. იცით, რატომ დაიწყო წუნის დადება თავის პარტიანზე? ხაზარაძის ნავში „გადახტუნება“ მოუნდა, მე ის ქალი არა ვარ, ვინმე მაჭუტაძის გვერდით ვიჯდეო. ახლა მაჭუტაძეს ჰკითხოვ, როგორი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე... უკაცრავად, აქ ღირსიკულად უნდა გადავუხვიო, ერთი ძალზედ საინტერესო პასაჟი დავიჭერე:

ნიკა მაჭუტაძე ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ეუბნება ლადო ბოჟაძეს (თბილისის საკრებულოს წევრს), როცა წიგნებს წაიკითხავ და ინტელექტუალურად ჩემ დონემდე მოხვალ, მერე ვილაპარაკოთ, მანამდე ილაპარაკე შენთვისო.

ეგე, ლადო, დაგხვდა წინა? ამას წინებზე რომ გეუბნებოდი, წამო, სერგოს ბიბლიოთეკაში დონ კიხოტ ლამანჩეზე წიგნი წაიკითხოთ-მეთქი და შენ კიდევ მითხარი, ეხლა არ მცალიაო, გახსოვს?

მერე გითხარი, წამო, ლუციუს აპულეუსის „ოქროს ვირი“ წაიკითხოთ ერთობლივად-მეთქი, ისევე მოუცვლელობა მოიმიზეზე.

ბოლოს „შავ ვარდზე“ და „მგლის ბილიკზე“ დაგვაბატიე, იმაზეც წიხლი მიკარ!

მანამ, სანამ ჩვენ ამდენი წიგნები ვერ წაიკითხეთ, მაჭუტაძემ წაიკითხა და ინტელექტუალურადაც გაიბრიქა. დაუკვირდი, ეგ როცა ბევრსა კითხულობს, თმაც უხუჭუჭდება და შუბლზე ხაზები უჩნდება.

ისე, რაღა დაგიმალო, ძმაო ვლადიმერ და... მაჭუტაძეს რომ უჯღღბი ტელევიზორში, არ იცი, რომ მეტსაცა გკადრებს? ყველასთან ლაპარაკი (მით უფრო „ნაციტბთან“) კი არ შეიძლება, ადამიანო?!

ამათთან საუბარი, მით უფრო კამათი შეუძლებელია, ამათ თავიანთი სამართალი, პოლიტიკა და რეალობა აქვთ, ამათ ყველაფერი სხვანაირად ესმით. მათთვის არც ადამიანობა არსებობს, არც ქვეყნის ინტერესი, არც სინდისი, არც ნამუსი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი დარბაშვილი უკრაინელებს ეუბნებოდა, რუსებს ვერ მოუგებთ, გამარჯვების შანსი საერთოდ არ გაქვთ. ერთი შეხედვით დიდ სისულელეს ამბობს სალომე სამადაშვილი... არა მხოლოდ სისულელეს ამბობს, დანაშაულსაც სწადის... ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ რა ვუთხრათ იგივე უკრაინელებს და დასავლეთელებს, რომლებსაც ეს ყველაფერი სჯერათ? მისი ვირთხული გამოხტომა სწორედ მათზეა გათვლილი. თითქოს არაფერი, შეგიძლია მივაქციოთ, მაგრამ არც მთლად ასეა, ნელ-ნელა სახელს გვიტყენ, ქვეყნის რეპუტაციას ლახავენ და ბოლოს იქამდე მივალთ, ევროპასა თუ ამერიკაში წამოგვამხებენ: უი, თქვენ იმ ქვეყნიდან ხართ, 2022 წლის ომში პუტინის მხარეს რომ იყავითო? რა ვქნათ, რა გავაკეთოთ, თავი ვიშარლოთ, რომ პუტინის მხარეს კი არ ვიყავით, ასეულობით ტონა ჰუმანიტარულ ტვირთებს ვაგზავნიდით უკრაინაში? არა, ამას აღარ დაგვიჯერებენ, უკვე აღარ გვიჯერებენ, თურმე სარდაფებში

მსხდომ უკრაინელებს ქართველების მიმართ პრეტენზიები აქვთ, მართო დროშებს რომ აფრიალებთ, ეგ რაში გვეჭირდებაო? თურმე ისეთი ტონი აქვთ, საქართველოდან მოსაკითხადაც ველარ ურეკვენ. წადი და ამტკიცე, დღემდე 700 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი რომ გაავაგზავნე, ამზე ლაპარაკიც კი უხერხულია. მიუხედავად დიდი გარჯისა, სულ სხვანაირ სახელს გვიმკვიდრებენ შინაური ვირთხები და ამ ავანტიურაში ჩართულია უკრაინის ხელისუფლება. რატომ? იმ-იტომ, რომ მათ ზემო თაროს უზით ქართველი კრიმინალები, საქართველოში ძეხნილები, ბრალდებულები. ძეხნილ გიორგი ლორთქიფანიძეს რომ დახვეწის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ ნიშნავ, ნორმალური ხარ? ჰააი-ი-ი-ი მივლენილ პროკურორს რომ წინ ბოროტების სიბოლოს, ასევე ძეხნილ ზურაბ ადვიშვილს უსვამ, ნორმალური ხარ? 45-მილიონიან ქვეყანაში რომ ვანო მერაბიშვილს და მის „მოწაფებს“ აბლატავებ, ნორმალური ხარ? აღარ მინდა, ამ ეტაპზე ყველაფერი ეთქვა, ამის დროც დადგება და მჯერა, ეს ვირთხები აუცილებლად წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე.

რამდენიმე დღის წინ მამუკა მდინარაძემ თქვა, პარტიამ ცილისწამების კანონზე ვლაპარაკობთო. მართო ლაპარაკი არ შევლის ამ საქმეს, სასწრაფოდაა მისაღები. პრემიერ-მინისტრს რომ ასეთ ბინძურ ბრალდებას უყენებენ, ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეს რის იმედი უნდა ჰქონდეს? არაც არაფერის!

ალბათ გახსოვთ, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში „ნაციონალიზმის“ ორ სახეზე, ანუ ორ ქაჯზე შევაჩერეთ თქვენი ყურადღება (ირინა სარიშვილსა და ხატია დეკანოიძეზე), ამჯერად „განუხორციელებელი“ სალომე სამადაშვილი „გაგაცანით“. მოლაღატე სააკაშვილს იმდენი ქვემოლაღატე ჰყავს, ამ თემზე წერა კიდევ დიდხანს მოგვიწევს. დაეწერთ, არ დავიღლებით, სამშობლო თავის ვირთხებს აუცილებლად უნდა იცნობდეს!



გელა ზემელავილი
555 48 48 61

„დაბნეპარე უენი პეპოზრის დაპარსხეპაუი, პერე უენ როე დაბეპარსხო!“

ბურუსით არის მოცული უკრაინის სახელმწიფოებრიობის მომავალი, რომელსაც ბევრისმნახველი პოლიტოლოგებიც ვერ პროგნოზირებენ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იქაური ხელისუფლების არათანმიმდევრული მოქმედებაა (ხშირად, უმოქმედობაც). ნებისმიერი ომი, ქვეყნის ანექსია ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ, როდესაც შესაძლებელია კონფლიქტის თავიდან აცილება და ამას ხელისუფლება არ აკეთებს, სწორედ ეს გახლავთ შეცდომა-დანაშაული.

მატარებლით ჩავიდნენ უკრაინაში გასულ კვირას პოლონეთის, სლოვენის და ჩეხეთის პრემიერ-მინისტრები. შეხვედრისას ძირითადად ზელენსკი ლაპარაკობდა, სტუმრები უსმენდნენ. მხოლოდ პოლონეთის ვიცე-პრემიერმა

„...რუსეთს მხოლოდ სამხედრო ძალა შემორჩა, რაც დღეს ნატოს არ გააჩნია. ამიტომ ვეძებთ ალტერნატიულ გზებს... უკრაინას მეტი დახმარება და ნაკლები ბიუროკრატია სჭირდება“.

ერთ კვირაში ზედიზედ მეორე შეხვედრა გამართეს რუსეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ამჯერად მეველედ ჩაუშოდლუ მოსკოვში ჩავიდა. თურქეთის მხარე ცდილობს შუამავლის როლის შეთავსებას კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის, თუმცა ორი კვირის წინ რუსეთ-უკრაინის პირველი დიპლომატების შეხვედრა ანტალიაში უშედეგოდ დასრულდა. თურქეთ-რუსეთს შორისაც არის სადავო საკითხები, მაგრამ ლავროვს და ჩაუშოდლუს ამაზე არ უსაუბრიათ. სტუმარი იმედიანად



იაროსლავ კაჩინსკიმ წამოაყენა წინადადება — სამშვიდობო მისიით განათავსონ უკრაინაში ნატოს წევრი ქვეყნების ჯარების ნაწილები. იდეას მხარდაჭერა არ ჰქონია, უბრალოდ, არარეალურად ჩათვალეს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა მონაწილეობა მიიღო ბრიუსელში გამართულ ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სამიტში. მისი განცხადებით: „...მიუხედავად ყველაფრისა, აშშ გააგრძელებს უკრაინის შეიარაღებით დახმარებას, რათა შეძლოს საკუთარი თავის დაცვა. თუმცა კონფლიქტში არ ჩაერევა, რადგან აშშ-რუსეთის შეიარაღებულ დაპირისპირებას მსოფლიოში ბირთვული ომი მოჰყვება, რაც არავის უნდა“. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მაღლობა გადაუხადა აშშ-ს მჭიდრო თანადგომისთვის. „...ყველა კარგად ვხედავ, რაც ხდება ჩვენს გარშემო — ბევრი აღამიანი ილუპება, მაგრამ უარესი მოხდება, თუ ნატო პირისპირ, იარაღით შეეჯახება რუსეთს. ამიტომ არ დავუშვებთ, კონფლიქტი გასცდეს უკრაინის საზღვრებს“, — თქვა სტოლტენბერგმა. აქვე ვიტყვი, ამ კვირაში გაიმართება ნატოს ქვეყნების მეთაურების საგანგებო სამიტი, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც დაესწრება.

ნატო უკრაინის ცის ჩაკეტვას არ აპირებს, რაც კიდევ ერთხელ აღნიშნეს განვილი მინისტრები-ალზე. ზელენსკის განცხადებით:



იყო განწყობილი — დარწმუნებული იყო, რომ ვიზიტის შედეგად იქნებოდა. ჩაუშოდლუს განცხადებით, თურქეთს აქვს სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობის გამოცდილება, რასაც ახლა გამოიყენებენ. ლოვში ჩაუშოდლუ შეხვედა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს დიმიტრო კულებას. უცნობი დარჩა მოლაპარაკების თემა და თუ ჰქონდა დიალოგს შედეგი, არ გაუსაჯაროებიათ.

დისტანციურ რეჟიმში გრძელდებოდა რუსეთ-უკრაინის დეკლარაციების მოლაპარაკებები (რომელიც დღესაც მიმდინარეობს), საიდანაც მხოლოდ მწირი ინფორმაციები ვრცელდება. ლავროვის განცხადებით, „რუსეთი არ დაუშვებს უკრაინაში იმ ტიპის იარაღის განთავსებას, რომელიც ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის. ჩვეულებრივ შეიარაღებაზე მოლაპარაკება შესაძლებელია“. მისივე თქმით, „არ დაუშვებენ უკრაინის პლაცდარმად გადაქცევას რუსეთთან საბრძოლველად“. ამასთან, ევროპის ქვეყნები, რომლებიც დაიწყებენ უკრაინის იარაღით მომარაგებას, რუსეთის კანონმდებლობით, მისი (რუსეთის) სამიზნეები გახდებიან. მოლაპარაკების მიმდინარეობის შეფასებისას ლავროვმა აღნიშნა: „დიალოგი რთულად მიდის, მაგრამ შეინიშნება პოზიტიური

მომენტებიც. შესაძლოა, მივაღწიოთ კომპრომისს“. პოზიტიური მომენტების არსებობა მოლაპარაკებების პროცესში ზელენსკიმაც დაადასტურა.

გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინელები მზად არიან, გამოაცხადონ ავსტრიის ან შვედეთის მსგავსი ნეიტრალიტეტის სტატუსი, თუმცა, რუსეთი უკრაინისგან ისეთი ნეიტრალიტეტის გამოცხადებას ითხოვს, როცა უკრაინას აღარ ექნება უფლება, იქონიოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, დაზვერვის სამსახურები, მძიმე შეიარაღება, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ავიაცია, გაერთიანდეს რომელიმე სამხედრო ბლოკში. შეზღუდვები, მართალია, ბევრია, მაგრამ ამით შეძლებენ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას. ისრაელელი სამხედრო ექსპერტი და პოლიტოლოგი იაკობ კედმი ასე აფასებს მიმდინარე მოვლენებს: „რუსეთისთვის აუცილებელია, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული სამხედრო ოპერაცია. შეცდომის დაშვების უფლება ხელისუფლებას არ აქვს. სამხედრო ოპერაციის შუა გზაზე გაჩერების შემთხვევაში შესაძლოა, სახელმწიფოს რღვევა დაიწყო“.

მოლაპარაკებების მიმდინარეობის მიუხედავად, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინას დამატებით 800 მლნ დოლარის დახმარება გამოუყო შეიარაღების

შესაძენად (აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გასულ კვირას საბრძოლო იარაღის შესაძენად უკრაინამ 1 მლრდ დოლარი მიიღო). პრეზიდენტის განცხადებით, უკრაინისთვის დახმარებას კვლავაც გააგრძელებენ, რადგან ხანგრძლივი ბრძოლა მოსალოდნელია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ ცდილობს მოლაპარაკებების ჩაშლას. პენტაგონში აშშ-ის მთავარ საფრთხედ რუსეთს ასახელებენ.

განსაკუთრებულად ელოდებოდა მსოფლიო საზოგადოება ჯო ბაიდენისა და ჩინეთის მთავრობის თავმჯდომარის სი ძინპინის დისტანციურ შეხვედრას. ორსაათიანი საუბრის დეტალები უცნობია. ჩინელი ჟურნალისტები ხუმრობენ, ბაიდენმა სი ძინპინს უთხრა: „დამხმარე უენი მეგობრის დამარცხებაში, მერე უენ რომ დაგამარცხოო“.

უკრაინაში კი საბრძოლო მოქმედებები ახალი ძალით გრძელდება. რუსეთმა პირველად გამოიყენა საბრძოლო მოქმედებებში ზებეგერითი ბალისტიკური რაკეტა „კინჟალი“ (ხანჯალი“), რომლითაც ივანო-ფრანკოვსკში არსებული იარაღის დიდი საწყობი გაანადგურეს. ცნობისთვის, საბჭოთა პერიოდში იქ ბირთვული იარაღის საწყობი იყო და აუღებელ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. აღნიშნული რაკეტა ბგერის სიჩქარეს თითქმის 10-ჯერ აჭარბებს. სავი და კასპიის ზღვებიდან კი „კალიბრის“ სისტემის რაკეტებით მიიტანეს სხვადასხვა ობიექტებზე შეტევები. უკრაინიდან დევნილთა რაოდენობამ 6 მილიონს გადააჭარბა. თუმცა საბრძოლო მოქმედებების შეჩერება-შეწყვეტის მცდელობა მსოფლიოს პოლიტიკოსების მხრიდან არც შეინიშნება.

როგორ შეიძლება მშვიდობა დამყარდეს, როდესაც ნენსი პელოსი — აშშ-ის კონგრესის სპიკერი, ზელენსკის ირლანდიელთა წმინდანს, პატრიკს ადარებს. უკრაინელი მაღალჩინოსნები კი ტყვედ ჩავარდნილ რუს სამხედროებს ნარკოზის გარეშე კასტრირებით ეშუქებიან.



„ომია გაჭონო ომი“, ანუ სპაქულასია ხალხის გაჭირვების ხარჯზე

ორი დღის დაწყებული იყო ომი უკრაინაში, როცა ორი კვირით გაუვლი ქალაქიდან — ჯერ თეძმის ხეობაში, იქიდან კი ანაკლიაში.

24 თებერვალს დაიწყო, რუსეთ-უკრაინის ომად წოდებული „სლავიანების ტრაგედია“.

სამწუხაროდ, ჩემს დაბადების დღეს დაემთხვა იგი!

ორი დღის მანძილზე ტელეფონი არ გაჩერებულა, იშვიათად ჩემი დაბადების დღის გამო, ყველა მათგანი 2014 წელს „საერთო გაჭონო“ გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას „იუგოსლავია და უკრაინა ევრო-ამერიკული დემოკრატიის მსხვერპლი“ იხსენებდა და უამრავ კითხვას მისვამდნენ ორი სლავი ერის სამკვდრო სასიცოცხლოდ წაქიდებზე.

ომის დაწყებამდე, რამდენიმე სტატია გამოვაქვეყნე ამ თემაზე. ყველა „მონარეს“ მათზე მიუთითებდა, რასაც არ კმარობდნენ და გაუთავებელ პოლემიკას მიმართავდნენ.

ქი, შენს კომპიუტერს? — შევეხმიანე ბენზინის ჩამომსხმელს.

გაკვირვებულმა შემომხედა და ნაწყენი ტონით მოაყოლა:

— არა ბატონო, როგორ გეკადრებათო.

მეც ცივად ვკითხე: — კი, მაგრამ, რა დირს ბენზინი?

— 3,75 ლარი, ერთი ლიტრი რეგულარო. — ასევე ცივად მიპასუხა.

ორი კვირის წინ თბილისიდან რომ წამოვედი 2,75 გადავიხადე, კი, მაგრამ, ასეთი რა მოხდა ამ მოკლე დროში? — ჩემთვის ჩავილაპარაკე.

ამის გაგონებაზე, თითქოს გახალისდა ჩემი მასპინძელი, მომიანხლოვდა, ასევე ჩუმად, მაგრამ თანაგრძნობით ჩაილაპარაკა: **ომია, ბატონო, ომი, ამიტომ გაძვირდა საწვავიო.**

არაფერი მითქვამს, ისე დავმშვიდობე, იმანაც მშვიდობით მგზავრობა მისურვა და ისე ჩამოვედი თბილისში, ხმა არ ამომიღია. სამაგიეროდ, მთელი გზა



ლოს ვერ ასცდებოდა. ბუნებრივია, დედამიწის პირველმა საერთო საშროებამ თბილისში იგანგაშა და მას მოსახლეობის ყველა სფეროში სათანადო რეაქცია მოჰყვა.

საქართველოში თითქმის ასი წლის წინ ჩამოსახლებულ გერმანელებში, ბუნებრივია, ამ მოვლენას საგანგებო გამოხმაურება



ერთიანობის და თანადგომის ჟამიც მალევე დადგა.

გადაუქროლა თუ არა, პირველი მსოლიო ომის ქარიშხალმა კავკასიას და მის დედაქალაქ თბილისს, მაშინვე აფორიაქდნენ დედაქალაქის ქორ-ვაჭარ-მევახშენი: **ომია, ომიო.**

ამ დროს თბილისის რძით და რძის პროდუქტებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომმარაგებელს, დუხობორებთან, სომხებთან და თათრებთან ერთად გერმანელებიც წარმოადგენდნენ.

სომხებს, თათრებს და დუხობორებს მოუღაპარაკიათ თურმე: ქვეყანა ირევა, ახლა ის დროა, ჩვენი საქონელი გავაძვიროთ, ვნახოთ, რას იტყვიან გერმანელებიო.

ისტორიას შემორჩა მაშინდელი რეაქცია, ვნახოთ, როგორი იყო იგი: „იმდროინდელი პრესის გამოხმაურება, თუ როგორი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ის გერმანელი კოლონისტები, რომლებიც თავიანთ მიერ მოწვეულ კვების პროდუქტებს ყიდდნენ ბაშკირეთის (ახლანდელი დმანისის) ბაზარზე. მაგალითად, კარაქს გერმანელები ჰყიდდნენ 20 მანეთად, მაშინ, როდესაც სხვა ეროვნების სპეკულიანტი მოვაჭრეები 70-80 მანეთს აფასებდნენ.

ამიტომ, ბუნებრივია, ვინც დმანისის ბაზარში მიდიოდა, ყველა გერმანელების გასაყიდ პროდუქტს ეტანებოდა, რადგან ამათი კარაქი, სხვებთან შედარებით, იაფიც იყო, სუფთაც და მაღალხარისხიანიც“.

1918 წლის 21 აგვისტოს გა-

ზეთი „ქართული ერი“ (Nრ.183) წერდა:

„კარაქის იაფად გაყიდვის თაობაზე გერმანელებს საყვედურობდნენ და ლანძღავდნენ სხვა ეროვნების გამყიდველები - სომხები, თათრები, დუხობორები და სხვები, რომ გერმანელები მათ მაზანდას უფუჭებდნენ. გერმანელები კი ერთნაირ პასუხს იძლეოდნენ:

„ახლა ომია გაჩაღებული და ხალხის გაჭირვებით ვერ ვისარგებლებთო. როგორც ღირდა ოცი მანეთი, კვლავ ასევე გავყიდითო“. ასე რომ, არც ერთმა გერმანელმა არ იკადრა სპეკულაცია და გამდიდრება ხალხის გაჭირვების ხარჯზე“.

ისე ჩამოვედი ანაკლიიდან თბილისში, დანა პირს არ მიხსნიდა. ისეთი შეგრძნება დამეფულა, დედაქალაქში ორი კვირა არყოფნის მანძილზე, ჩემს სამშობლოს ვიღაცა უცხო, გადამთიელი და პატრონებოდა და უმოწყალოდ ძარცვავდა მას.

ასი წლის წინანდელი გადამთიელი „გერმანელი კოლონისტები“ კი, „საზოგადოებრივი მორალით“, მიუწვდომელ სიმაღლეზე იდგა, ვიდრე დღევანდელი ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც აზრად არ მოუვა, რომ: ახლა ომია გაჩაღებული და ხალხის გასაჭირით ვერ ვისარგებლებთო.

ისტორია მეორდება, ოღონდ არა ხალხის სასიკეთოდ!

დავით ძოგალია
თბილისი-რკონი-
ანაკლია-თბილისი
598 708 600



მართალი გითხრათ, ამის გამო გავერიდე ქალაქს. ერთი კვირა რკონის მონასტერში, ჩაჩუბეთსა და თეძმის ხეობაში დავეყავი, ერთი კვირა კი ენგურის პირას, ჩემს ოდაბადე ანაკლიაში, საზაფხულო-საოჯახო სახლში ისე გავატარე, მაღაზიებთან, ბენზინგასამართ სადგურებთან, მოკლედ - ფულის გადასახდელ ადგილებთან საქმე არ მქონია, რადგან ყველაფერი ორი კვირის წინ მომარაგებული დამახვედრეს და ეზოს გარეთ გასვლა არ დაგვჭირებია მე და ჩემს მეუღლეს.

გვიან მივხვდი, რომ ეს ორი კვირა გარე სამყაროსგან მოწყვეტილმა გავატარე.

მსგავსი ბედნიერება ბოლო 30 წლის მანძილზე არ მქონია. რომ არა საგანგებო, ოჯახური შემთხვევა, ალბათ კარგახანს კიდევ დავრჩებოდი და ვერაფერს გავიგებდი, თუ როგორ შეიცვალა ჩემი სამშობლო ამ ორ კვირაში.

სასწრაფო წესით თბილისისკენ მობრუნებულს, ზუგდიდიდან გასასვლელში, მანქანის საწვავით გამართვამ მომიწია. ავზი ბოლომდე გავავსებინე ბენზინის ჩამომსხმელს, ტაბლოს შევხედე, საწვავის რაოდენობა ჩვეულებრივი, გადასახდელი თანხა კი „არაჩვეულებრივი“ მეჩვენა.

— ხომ არაფერი ემღება-მეთ-

ყურში ჩამესმოდა: **ომია, ბატონო, ომი, ამიტომ გაძვირდა საწვავიო.**

ორი დღის წინ მოხდა ეს ამბავი. ორი დღე მახსენებდა თავს, კარგა ხნის წინანდელი ამბავი, რომელიც, აგერ, ახლა მომავინდა და ამიტომაც დავიწყე ამ სტატიის წერა.

10 წლის წინ წიგნზე „გერმანელები საქართველოში“ მუშაობისას, მე-19 საუკუნეში საქართველოში გადმოსახლებულ უცხოტომელთა ცხოვრების ამსახველ უამრავ საინტერესო და მნიშვნელოვან მასალებთან ერთად, თითქმის დაუჯერებელ ამბავს წავაწყდი.

მე-20 საუკუნე საგანგებო მოულოდნელობებით შემოვიდა კაცობრიობის ისტორიაში, იგი მართლ რამდენიმე რევოლუციით არ შემოიფარგლა მაშინდელი მსოფლიოს ერთერთი დიდი იმპერიის შუაგულში, არამედ, იმპერიაში შემავალი ქვეყნების და მათში მცხოვრები ადამიანების ზნეობრივი მდგომარეობის გარდასახვაშიც გამოიხატა. საქართველოში კი იგი სხვებისგან ბევრად განსხვავებულად ჩამოყალიბდა.

1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლო ომი კავკასიის ბევრ ქვეყანაში ისე შეიძლებოდა ჩავლილიყო, ვერც გაეგოთ ამის შესახებ, მაგრამ იგი კავკასიელი ხალხის მეციხოვნე საქართვე-

მოჰყვა, გერმანია ამ ომის ერთ-ერთი დიდი მონაწილე იყო.

იმ დროს თბილისის გარშემო არსებული „გერმანელ კოლონისტებად“ წოდებული დასახლებები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ომი, რომელიც, მათ შორეულ სამშობლოს სიკეთეს არ უქადადა, კარგად ესმოდათ, ამიტომ ისინი შინაგანი ერთიანობით და თანადგომით შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ვისთანაც ჭირ-ვარამის გაზიარება უწყევდათ.



ვინ გააღიღრდა ყველაზე გიგანტური მსოფლიო ომში

მეორე მსოფლიო ომის შედეგად, ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის, გამარჯვებულმა, დიდი დანაკარგი განიცადა. მოგებული დარჩენი მსოფლიო საფინანსო და სამრეწველო კორპორაციები, რომლებსაც ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ომი ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებად იქცა.

„ფრიდრიხ კრუპი“. კრუპების დინასტია მილიტარისტული გერმანიის ეკონომიკაში ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ამიტომ ვერსალის ზავი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიდო, გუსტავ კრუპისთვის ნამდვილ ტრაგედიად იქცა. ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამ მას არამარტო დაუბრუნა დაკარგული შესაძლებლობები, არამედ მონოპოლიის შეუზღუდავი ძალაუფლების იმედიც განუახლა.

ტავ კრუპის შვილი, ალფრედმა, 1930-იან წლებში შეიტყო გიმლერის გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც ის საკონცენტრაციო ბანაკების შექმნას აპირებდა და ამ პროექტში უზარმაზარი ფული ჩაღო. ეს ბანაკები მისთვის არა სიკვდილი ფაბრიკა იყო, არამედ უწყვეტი შემოსავლის წყარო, რამაც ის ტყვეების შრომას იყენებდა. ალფრედ კრუპი 10 საკონცენტრაციო ბანაკის მფლობელი გახდა. ის უხდიდა ხელფასებს ბანაკის ზედამხედველებს და მეთვალყურეებს.

გერმანიის კაპიტულაციისთანავე ალფრედ კრუპს უზარმაზარი თანხები პქონდა შევიცარიის ბანაკებში, ნაცისტებთან მისი თანამშრომლობის მამხილებელი დოკუმენტები განადგურებული იყო, ქარხნებს კი ამერიკის სამხედრო პოლიცია იცავდა.

სიმენსი. სამხედრო-სამრეწველო ბუმს გვერდი არც „სიმენსის სახლისთვის“ აუვლია. ქარხნები, რომლებიც ელექტრომომწოდებლობებს აწარმოებდნენ, მათ შორის, მიმომხილვითი სკანირებით აღჭურვილ სარადარო სისტემებს, თავიანთი პროდუქციით ამარაგებდნენ გერმანიის არმიას, სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტს. დაქირავებული

მუშების გარდა „სიმენსის“ ქარხნებში შრომობდნენ სამხედრო ტყვეები, რომელთა წყალობითაც ამ საოჯახო ბიზნესმა უზარმაზარი მოგება ნახა.

„სტანდარდ ოილი“. გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილეს კონცერნს IG Farbenindustrie-ს, რომელიც პიტლერის წინასწარჩვენი კამპანიის ძირითადი სპონსორი იყო, ამერიკული ნავთობკომპანია „სტანდარდ ოილ“-ი აკონტროლებდა, რომელიც როკფელერებს ეკუთვნოდა. მაშინაც კი, როცა აშშ მეორე მსოფლიო ომში ჩაება, „სტანდარდ ოილ“-მა განაგრძო ნაცისტებთან თანამშრომლობა, ის დაუბრკოლებლად ამარაგებდა მათ საწვავით. სამაგიეროდ, კარგ მოგებასაც იჯიბავდა. გერმანიის ეკონომიკაში ამ კომპანიამ 120 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაღო.

ჰმენრად ვლმერტიპი. კი-



შავებისთვის უმნიშვნელოვანეს ნივთიერებას წარმოადგენს და ფრონტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჯარმა 36 ათასი დოლარი, არაფერი იყო მაქინაციებით მიღებულ 1,5-მილიონთან შედარებით.

ამერიკული ბანკები. 1990-იან წლებში საფრანგეთის სამთავრობო კომისიამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების საბანკო ანგარიშებისა და ფასეულობების მიტაცებას იძიებდა, განაცხადა, რომ ამ მაქინაციაში მონაწილეობას ხუთი ამერიკული ბანკი იღებდა: Chase Manhattan, J.P.Morgan, Guaranty Trust Co. of New York, Bank of the City of New York და American Express. განსაკუთრებით აქტიური იყო Chaase bank-ი, რომელიც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა ცნობილი „ბროლის დამის“ შემდეგ, როდესაც 1938 წელს ავსტრიასა და გერმანიაში ებრაელები დაარბიეს. მოგვიანებით ამ ბანკმა ფრანგი ებრაელების ანგარიშები ოკუპირებულ საფრანგეთში.

Chase Bank-ის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელი ჯონ როკფელერი თვითონ აფინანსებდა ნაცისტების ეგვენისტურ ექსპერიმენტებს. 1936-1941 წლებში Chase, სხვა ამერიკულ ბანკებთან ერთად, დაეხმარა ნაცისტებს, მიეღოთ 20 მლნ დოლარზე მეტი. ბანკებმა ამ გარიგებით 1,2 მლნ დოლარზე მეტი იშოვეს, აქედან ნახევარი მილიონი Chase-ს შეხვდა.

შვიცარიის ბანკები. პიტლერის ამბიციურ გეგმებს გულუხვად აფინანსებდნენ ამერიკული და ბრიტანული ბანკები, შუამავლად კი შევიცარიული ბანკები გამოდიოდნენ. სწორედ ამის შედეგად შეძლო პატარა შევიცარიამ, ევროპის ფრონტებზე განვითარებული ტრაგედიები აეცილებინა თავიდან.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მესამე რაიხის ლიდერებმა შევიცარიის ბანკებში 15 მლრდ მარკის ღირებულების ოქრო შეიტანეს, რაც დღეისათვის 40 მლრდ დოლარზე მეტს შეადგენს. ეს, პირველ რიგში, ოკუპირებული ქვეყნების ოქროს მარაგი და კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონება იყო. ძვირფასი ლითონის მოპოვების კიდევ ერთი წყარო საკონცენტრაციო ბანაკები იყო, საიდანაც ასეულობით კგ ოქროს გვირგვინებს „მოპოვებდნენ“.

„ნესტლე“. 2000 წელს შევიცარიული კომპანია Nestle-ს ებრაული ორგანიზაციებისთვის კომპენსაციის სახით 15 მლნ დოლარის გადახდა დააკისრეს. ეს უმნიშვნელო თანხა იმასთან შედარებით, რაც Nestle-მ ომის წლებში იშოვა. ის მომგებიანად ყიდიდა ამერიკულ არმიაზე ტონობით უნაღვეო ყავას.

ამ პოპულარულმა ფირმამ აღიარა, რომ 1947 წელს მან შეიძინა კომპანია, რომელიც ომის წლებში იძულებითი სამუშაო ძალას იყენებდა.

„ჟანტა“. მსოფლიოს ცნობილი სავაჭრო ბრენდი ჟანტა თავის დაბადებას ნაცისტურ გერმანიას უნდა უმაღლოდეს. როცა ომის დაწყების გამო ევროპაში კოკა-კოლას წარმოებისთვის საჭირო ინგრედიენტების შემოტანა გაჭირდა, კომპანიის გერმანიის ფილიალის მმართველმა უცებ აულო ალლო სიტუაციას. მისმა ტექნოლოგებმა შეძლეს შეექმნათ გემრიელი ქიმიური სასმელის ფორმულა, რომლის წარმოებაც უკვე არსებულ ბაზარზე იყო შესაძლებელი. ჩინეთმა მთელი ომის განმავლობაში უზრუნველყო ამ განყოფილების უწყვეტი მუშაობა, რამაც კომპანიას დიდი მოგება მოუტანა.

ბელა გველმსინაიანი
568 90 81 22



გერმანიის, როგორც სამხედრო ქვეყნის ჩამოყალიბების პირობებში ფირმა „ფრიდრიხ კრუპის“ შემოსავლები მკვეთრად იზარდა. სამხედრო მრეწველობის წინსვლამ გერმანიას დიდი ბიბგი მისცა, რის წყალობითაც ფოლადის წარმოების მხრივ ამერიკის შემდეგ მეორე ადგილზეა. უკვე სიბერეში შერული გუს-

ველო ბუმს გვერდი არც „სიმენსის სახლისთვის“ აუვლია. ქარხნები, რომლებიც ელექტრომომწოდებლობებს აწარმოებდნენ, მათ შორის, მიმომხილვითი სკანირებით აღჭურვილ სარადარო სისტემებს, თავიანთი პროდუქციით ამარაგებდნენ გერმანიის არმიას, სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტს. დაქირავებული

დევ ერთ ამერიკულ კომპანიას, რომელიც ომის დროს დიდი მოგება ნახა, მორგანების კლანი მართავდა. 1946 წელს ის აშშ-ის მთავრობამ უდიდესი ქვეყნისთვის დააჯარიმა. კორპორაცია Krupp General Electric-თან ერთად ის ხელოვნურად ზრდიდა ფასს ვოლფრამის კარბიდზე, რომელიც ლითონების მექანიკური დამუ-



დავით გოშირიძის ხსოვნა

გაზაფხულის პირველი თვის ოცდამეათე დღეს დაიბადე ყველასაგან ყველაფრით გამოჩენილი. გამოჩენილი სულით, გულით, გონებით და უადრესად საინტერესო იდეალური სამყაროთი, უჭკვეანესი მწვეანე თვალებით.

როცა დიდი ხნით უნივერსიტეტიდან უცხოეთში მივლინებამი იყავი ძალიან მიჭირდა უშენობა. ერთხელ 6 თვე ისე გავიდა ვერ გნახე და მოლოდინულად უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შეგხვდი. გითხარი, სად დაიკარგე ამდენ ხანს-თქო? ლამის შევიშალე-თქო. გაშიდამე და ასე მითხარი: კატა იყიდო.

შენ წახვედი სამუდამოდ, მაგრამ მყავს გამოჩენილი კატა. ის შავი ხასხასა ბეწვითაა შემოსილი და უჭკვეანესი, იდეალური მწვეანე თვალები აქვს. მე მას სახელიც დავარქვი. ის ჩემი დაგოა. ჩვენ მეგობრები ვართ. მან მოსმენა იცის. საიდუმლოს გაგება და შენახვა შეუძლია.

იცოდე, რომ მუდამ იქნები ჩემს გულში. მე და დავო დედამიწიდან გილოცავთ ცის სამყაროში დაბადების დღეს და ვლოცულობთ შენთვის...

შენი თამარ დოლიძე

„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. №6 GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო სენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **ვასტან ნარჩილაძე**

სარედაქციო კოლუმნა: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შევლიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნათო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველმსინაიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რაგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა შუბილიათ შპს
„ელგა-ჯი“-ს მშენებელი +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. მასალა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდა რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გასაქმებული მასალის გამოქვეყნებამდე ავტორის აზრის შესახებ. ამისთვის მასალის ავტორს არ უარუნდება.
© ამ ნომერს ავტორის საპატიო გასალაზო.
ინფორმაცია შპს „საგველ-დასაწყალის“ სტამბაში. აგვისტოს 39. ტელ: 234-39-99

<http://www.saertogazeti.ge>